

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ СЪЕЗДОМ



ქვეყანას
1-ე მაისს!

ნიანბი

ლენინი ჩვეთაღ დგას
კომრაც უკვლავება,
საუბრობს ძვეული აზრებად.
ის უკვე ჩვენთან
მარადუბს იტოცხლებს
ვით ქალა.
ცოდნა და
დროუბის აზრება
ვ. მაიაკოვსკი

გაზაფხული მოვიდა...
ზუსტად გრაფიკის მიხედვით ტყემ მოისხა ფოთოლი, უნი-ვერსიტეტში გამოჩნდა ზამთრის პალტოები, კიოსკებში გასაყიდად გამოვიდა ჩვენი ჟურნალების სახალწლო ნომრები, „დინამოს“ ფეხ-ბურთელებმა უკვე მოასწრეს... ორჯერ თამაშის წაგება,—მოკლედ, ბუნება აივსო იმის უტყუარი მაჩვენებლებით, რომ გაზაფხული მობრძანდა...

საგაზაფხულო ოცნებებმა და მზიანმა დღემ თბილისის ქუჩებში გამოიყვანეს. გავყვი ერთ ქუჩას, გადავიდი მეორეზე, გავისეირნე მესამეზე და ვერც კი შევამჩნიე, თუ როგორ მოგვხვდი ჩვენს ცნობილ ქარხანასთან, რომლის დირექტორი ვახტანგ ზარეციძე ჩემი სიყრმის მეგობარია...

— მოდი ერთი ვნახო, თუ რასა იქს ვახო?...—გავიფიქრე შე და ქარხნის ეზოში შევხუბიე.
ქარხანაში გაზაფხული სამაისო ლოზუნგებით მოსულიყო. „ყველა საპირველმართისო ვახტანგ!“, „გეგმის გადაჭარბებით შევხვდეთ 1 მაისს!“, „ფართოდ გავშალოთ საპირველმართისო შეჯიბრება!“—გაიძახოდნენ მოწოდებები.

დირექტორის კაბინეტში საბავშვო სიმღერის ლილინით შევედი:
— მოდი ვნახოთ ვახტანგი, რამ შექამა ვახტანგი, მიველ ვნახე ვახტანგი...

—...ფოსტამ ჰამა ვახტანგი!—მწარე ხმით დამისრულა სიმღერა დირექტორმა,—გეტყობა, კარგ გუნებაზე ხარ, ზოგი მეც მკითხე... ვახტანგის სახიდან ისეთმა მარტის სუსხმა დამკრა, რომ საგაზაფხულო განწყობილების ნატამალიც კი აღარ შემრჩა.

— ამ ქალს ხედავ?—კბილებსი კრაჭუნით შემეკითხა დირექტორი და მაგიდასთან ატუზულ ხუჭუჭთმიან გოგონაზე მიმითითა,—ჩემი მდივანია. მდივანი კი არა, სულთამბუთავია, ტარტაროზი!.. ხედავ ხელში რა უჭირავს? მაგას რომ ჰკითხო—დღევანდელი ფოსტაა!.. ფოსტა კი არა დარიშხანაა!.. საწამლაგი!..

ვახტანგმა ბრაზიანად მიხედა თავის მდივანს.
— კარგი, ახლა... დამიტოვე ეგ შენი ფოსტა და ცოტა ხანს მაინც ნურავის შემოუშვებ, თორემ შევ სიაში ჩაგწერ, გესმის... მდივანმა უხმოდ დააწყო მაგიდაზე ქალაღები და ფეხბაკრეთით გავიდა.

— ეგ რა შავი სია გაქვს?—ვკითხე გაკვირვებულმა.
— ისე, ვაშინებ. ეჰ, ჩემო ძმაო, რომ იცოდე, რა დღეში ვარ... გეგმას ვერ ვასრულებ. რა ვქნა, რა ვქნა?!

— კაცო, რას წუწუნებ?—შევეუტიე მე,—როგორ თუ ვერ ასრულებ... ნედლეული გაკლია თუ რა?
— საქმეც მაგაშია, რომ არც ნედლეული მაკლია, მექანიზმებიც მაქვს, კადრებიც მყავს და... გეგმას კი მაინც ვერ ვასრულებ.
— ხელს ვინ გიშლის?

— შენ ის იკითხე, ვინა არ მიშლის! წელან ტყუილად კი არ გიმღერე „ფოსტამ ჰამა ვახტანგი“... ამ ქალაღებს ხედავ? ჯერ სადა ხარ, დღის ბოლომდე ორ ამდენს კიდევ მომართმევს ჩემი აბეზარი მდივანი... რაიკომი შეკითხვას მიგზავნის, აღმასკომი—დავალეხას, სამმართველო—ინსტრუქციას, ტრესტი—ბრძანებას, სამინისტრო—დირექტივას, პროფკავშირი—გადაწყვეტილებას, კომკავშირი—შუამდგომლობას, გავთავდი კაცი!.. მოდი და ამ პირობებში გეგმა შეასრულე. ინსტრუქციების წინააღმდეგი როდი ვარ! მიხელმძღვანელებე, მომეცი ერთი გეგმა, ერთი დირექტივა, ერთი ინსტრუქცია, მაგრამ ორმოცი ქალაღი რომ მოდის ერთსა და იმავე საკითხზე, ორმოცჯერ რომ გეკითხებიან, ვის რამდენი შვილი ჰყავს და რამდენი ბებია—გაძლება არ უნდა?! ერთი ათი დღე მაინც მომასვენონ და მერე ნახონ, შევძლებ თუ არა მაისისათვის გეგმის შესრულებას... ბოლიში, მაგრამ შენთან საუბრის დროც არა მაქვს. ვიდრე ახალ ფოსტას მომიტანდნენ, იქნებ ორ-სამ საამქროში შერბენა მაინც მოვასწრო... არ გეწყინოს, ჩემო ძმაო...

მე, რა თქმა უნდა, არ მეწყინა, მაგრამ ქარხნიდან ძალიან უგუნებოდ წამოვედი. „ნუთუ ბიუროკრატიზმის ბირთვს ვერას დავაკლებთ?“

მეორე დღეს კიდევ წავედი ქარხანაში, მაგრამ ვახტანგის შეწუხება არ მინდოდა და მის მდივანს ვესაუბრე.

...და აი, დღესასწაულიც დღეც გათენდა. დილიდანვე გამოვედი საზეიმოდ მორთულ რუსთაველის პროსპექტზე. დემონსტრანტებში პირველად ამ ქარხნის მუშები დავინახე. ისინი მოწინავე კოლონაში მიდიოდნენ, რადგან გეგმა გადაჭარბებით ჰქონდათ შესრულებული. ვახტანგი გაბრწყინებული სახით მიუძღოდა თავის კოლეტივს. ვერ მოვიტინე და წინ გადავუდექი:

— აკი გეგმას ვერ ვასრულებთო?!
— ეჭვი!.. ჩემს არწივებს კარგად ვერ იცნობ...
მომაძახა ვახტანგმა,—განსაკუთრებით კი, იცი, ვინ შემიწყო ხელი?.. ქეთინომ!


— ვინ ქეთინომ?—გავიკვირე მე.
— ჩემმა მდივანმა. არ გახსოვს ჩემი სულთამბუთავი? თურმე ის გასაქრობი ათი დღის განმავლობაში მთელ კორესპონდენციას მიმაღავდა, დღეში მხოლოდ ერთს, ან ორს, ყველაზე საჭირო და აუცილებელ ქალაღს მაწვდიდა.

— შენს ადგილზე რომ ვიყო, მე მას დავსჯიდი...
— ნუ გეშინიან, მეც არ დავტოვე უყურადღებოდ.
— შავ სიაში შეიტანე?
— არა, სხვაგან... დაჯილდოებულთა სიაში,—ვახტანგმა თითო გაიშვირა სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილ ახალგაზრდებისაკენ, რომლებსაც ქარხნის მოწინავე მუშების პორტრეტები მოჰქონდათ. შუაში ქეთინო იდგა.

— თუ ასეა, ჯილდო მეც მეკუთვნის.
— შენ რა შუაში ხარ?
— ფოსტის გადამაღვის აზრი მე მივეცი შენს მდივანს...
— კარგი გიქნია,—წყნარად მიპასუხა მან,—ასეც უნდა ყოფილიყო. ჩვენი გეგმა—შენი გეგმა(აა)!..

ვახტანგს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ამ დროს სასულე ორკესტრმა დაიგრილა და წამსვე ჩვენს გვერდით ცეკვა-თამაში გაიმართა.

სოსო ბავი



სარქვასნაწარმო სარეჟიანი

— თქვენზე ამბობენ, გაზეთებს არ კითხულობხო...
 — ტყუილი უთქვამთ, გაზეთებს რომ არ ვკითხულობდე, საიდან გავი-
 გებდი, რომ ჩვენი ფერმა რაიონში ყველაზე ჩამორჩენილია.




ნან. ჯ. ლოლუასი



სპორტის აჯგუბი

1956 წლის ზაფხულში ტარდება საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტაკიადა, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ჩვენი რესპუბლიკა. მაგრამ სპორტაკიადისათვის ემზადებიან არა მარტო სპორტსმენები, არამედ ზოგიერთი სპორტის მოყვარულიც. ჩვენმა მხატვარმა ჩახატა მათი წინასასპორტაკიადო ვარჯიშობათა რამდენიმე მომენტი, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. საილუსტრაციოდ ვაქვეყნებთ მათ.

სოფლად: რბენა 1000 მეტრზე წინააღმდეგობათა ზოლის გადალახვით



ქალაქად: ოთხკიდი სასადილოში



ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი სპორტის მოყვარულები, რომლებიც ასეთ ბრწყინვალე ფორმაში არიან, საპრიზო ადგილებზე გამოვლენ.

სენ პაული მოსკო

ახალი თავმჯდომარე ახლებურად დატრიალდა ნიქოზში. ზოგს არ მოეწონა ის ამბავი, რომ ბრიგადირობიდან თუ სხვა თანამდებობიდან შეუფერებელი მუშაკები გაანთავისუფლა და მათ ადგილას საქმიანი ხალხი დანიშნა.

განსაკუთრებით არ მოეწონა ეს ამბავი კოლმეურნეობის საწყობის გამგეს ლადო ქაფიაშვილს. თავისი ერთგული მეგობრის ალფეზ ბაღიაშვილის ბრიგადირობიდან მოხსნამ ხომ პირდაპირ მუშაობის ხასიათი გაუფუჭა ლადოს.

„აბა ეს რა არის? კაცს თავლში ხელი ჰქონდეს და გალოკვა არ შეეძლოს, გაგონილა?“ ხშირად იტყოდა ლადო. იდარდა ქაფიაშვილმა, იდარდა და დარდითაც რომ ვერაფერს გახდა, ბოლოს შეუტია თავის თავს: „გულს რაზე იტებს, ჩემო ლადიკო? ნათქვამია, მოხერხებული კაცი ცივ ქვაზე რომ დასვა, მაინც იცხოვრებსო. ამოძრავე ტვინი და გამოსავალს იპოვინა“.

ამოძრავა ლადიკომაც ტვინი, ამოძრავა და გამოსავალი იმაში იპოვნა, რომ საწყობის გატეხვა გადაწყვიტა.

ეს აზრი მაშინვე ალფეზს გაუზიარა.

— ბიჭოს!—სიხარულით ტაში შემოჰკრა ალფეზმა,—შენ მართლაც საზრიანი კაცი ყოფილხარ. იმ გამოყრუებულ მიხას თავგზას ისე ავურევთ, გონს ვერ მოგვოს.

ლადომ გულთანად ჩაიხითხითა.

— ჰოდა, ახლავე უნდა დავტრიალდეთ, დღესვე. კარგად რომ დამდებდა, მე საწყობისკენ ჩავივლი, ვითომ წისქვილში მივდივარ, მიხას გამოველაპარაკები, გავართობ. შენ და შაქრო უკანა კარიდან შეიპარები და...

* *

მართლაც, ვახშობის დრო იქნებოდა, როცა მეგობრებმა ქაფიაშვილის ეზოს კიშკარი კრიალით გაიხურეს და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

გვერდულად შემოიტანე, ჩვენს ხახლში ყველაფერი გვერდიდან შემოდის.



ნახ. თ. ჯიშკარიანისა

კარების კრიალზე ლადოს ერთგული ძაღლია ყურში ყურები აცქვიტა, წამოხტა, სიხარულით კულის ქნევას მოჰყვა და შორიანლო აღედგნა.

* *

მეორე დღეს ადრინად ყვირილი შემოესმა ლადოს. სწრაფად ჩაიკცა და კარში გავარდა. ეზოს კარებთან სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და ალფეზი დანახა.

— საწყობი გაუტეხიათ, წამოდი ჩქარა!—დანახვისთანავე შეესძახა ალფეზმა.

ლადო აივნის კიბეზე დაეშვა, აღშფოთებული ადამიანის იერი მიიღო და „ლოცვა-კურთხევას“ მოჰყვა. ჩქარი ნაბიჯით გასწიეს საწყობისაკენ.

საწყობთან კოლმეურნეები შეგროვილიყვნენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნერვიულად ელაპარაკებოდა წელში მოხრილ, საწყობის გატეხვით გულგატეხილ მიხას.

ლადო გინებითა და ლანძღვით მიუახლოვდა ხალხს. საწყობის გადარაზული კარები შეათვალიერა და მერე თავმჯდომარისაკენ შებრუნდა.

— იქნებ შენ დაგვიწყდა კლიტის დადება?—ჰკითხა თავმჯდომარემ.

— რას ლაპარაკობ, კაცო, მაშ რაღა მაგონდება, რომ დაკეტვა დამავიწყდეს? ისეთი გამოშტერებული ყარაული დამიყენეს, მთელი საწყობი თვალწინ რომ დაუცალონ, ვერაფერს გაიგებს!

— რატომ ლაპარაკობთ, თქვენი ჭირიმი, ეგრე?... ძლივს წამოილულულა მიხამ. უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ლადომ შეაწყვეტინა სათქმელი.

— იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ერთიბეწო პასუხისმგებლობას არა გრძნობ! შე დალოცვილო, ერთი საწყობი გაბარია და იმასაც ვერ მოუარე? აგე ახლა პასუხი სასამართლოში!—შეუტია ლადომ.

— მე რატომ უნდა ვაგო პასუხი, შენი ჭირიმი, მე ხომ არ გამიტეხია?

— იქნებ შენც გატეხე, რა ვიცი!—მიადხა ლადოს მაგივრად ალფეზმა.

მიხას ტყვიასავით მოხვდა ეს სიტყვები გულზე. ცრემლები გადმოცვივდა და ძლივს წარმოთქვა:

— ღმერთი არ უნდა გქონდეთ, რომ ამ სიბერის დროს ეს ალაღმართალი კაცი ციხეში ჩამსვათ?

ხალხს გული დაეწვა, რადგან ამ პატიოსან და ალაღ კაცს ყველა იცნობდა სოფელში.

— გამომძიებელს უნდა გამოვუძახოთ, — მიუბრუნდა ლადო თავმჯდომარეს, — სანამ ის არ მოვა, საწყობში არ შევალ.

— გამომძიებელს უკვე დიდი ხანია გამოვუძახეთ, საცაა მოვა.

ამ ლაპარაკში მანქანის ხმაც მოისმა. მოსახვევიდან „ვილისი“ სწრაფად გამოვარდა და შეგროვილ ხალხთან გაჩერდა. მანქანიდან გამომძიებელი გადმოვიდა, ხალხს სალამი მისცა და მიხა დაჰკითხა. შემდეგ საწყობის სარაზი შეათვალიერა.

— კლიტე გატეხილი არ არის, გასაღებით უნდა იყოს გაღებული, — წარმოთქვა გამომძიებელმა და კარებს ხელი მიჰკრა. კარების გაღება და შიგნიდან ძაღლის გამოვარდნა ერთი იყო. ყურში კარებთან შეგროვილ ხალხი რომ დანახა, ჯერ შეკრთა, დაიღრინა, მაგრამ პატრონს რომ მიჰკრა თვალი, ღრენა შეწყვიტა, ლადოსთან კულის ქიციანი მიიჭრა, ფეხებში გაუგორ-გამოუგორდა, თითქოს მადლოდა გადაუხდა საწყობში გატარებული ქეიფისათვის, მერე ზეზე წამოხტა, ლადოსა და ალფეზს წინ დაუსკუბდა და ტრაქტორის ტებისათვის წინაღამით გამზადებულ კერძში გათხვრილი ლაშები წინა თათებით მოიწმინდა.

ხალხმა ვაოცებით ტაში შემოჰკრა.

— აი, შენი მხსნელი, ძია მიხა, — სიცილით წამოიძახა გამომძიებელმა და ამ მოულოდნელი ამბით ელდანაცემ, ფერდაკარგულ მეგობრებზე მიუთითა.

— მართლაც რომ ჩემი მხსნელია, მართლაც, — სიხარულით ძლივს წამოილულულა მიხამ და თვლები გაუბრწყინდა, — ამ ძაღლმა დამიხსნა და ეს ორფეხა ძაღლები კი ჩემს დაღუპვას ცდილობდნენ.

ელისბარ მანისუკაძე



დარტყმა!

...იზინის, იზინის, კვება სიცილით

განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე, კასპის რაიონის ახალქალაქის საბავშვო სახლის დირექტორს ვალერიან ჭავჭავაძეს თავი ამაყად უჭირავს. იმდენი მოხერხება და ყაირათიანობა გამოიჩინა სამუშაოზე, რომ გულდამწვდებელი უდარდელად უპასუხებს კითხვებს.

— მთავრობის დადგენილებით ხომ აკრძალული გქონდათ შეშა შეგქმინათ ნაღდ ანგარიშზე? — ეკითხებიან გ. ჭავჭავაძეს.

— მქონდა აკრძალული, მე კი ვიძენდი.

— ხომ სწორია, რომ ვინმე სანდრო, ბატკანიშვილისაგან შეიძინეთ კუმბეტრი შეშა 240 მანეთად, ანგარიშში 360 მან. ჩასწერეთ, ყალბი ხელწერილი საბუთებს დაურთეთ, ხოლო განსხვავება მიითვისეთ?

— დიახ, ასე იყო.

— ასეთი შემთხვევები ხომ სხვაც იყო?

— კიდევ იყო რამდენიმე შემთხვევა.

— ახალქალაქში მცხოვრებ ელენე სულთანიშვილისაგან შეიძინეთ ძროხა, წონით ორას ცხრა კილოგრამი, შემოსავალში 78 კვ გაატარეთ, დანარჩენი კი მიითვისეთ?

— ამასაც ვადასტურებ.

— ისიც ხომ სწორია, რომ თქვენ 25-კილოგრამიანი ბატკანი იყიდეთ, თვითონ მიითვისეთ, საფასური კი საბავშვო სახლს გადაახდევინეთ?

— სწორია, როგორც ალალი კაცი, ვერც ამას გადავთქვამ!

— კილოგრამ ხორცში 12 მანეთს იხდით, მერე ანგარიშში 20 მანეთს ატარებდით და განსხვავებას ითვისებდით. ესეც ხომ მართალია?

— ესეც მართალია!

— განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე, თქვენი განკარგულებით, დაწესებულების ეზოში მოიჭრა ვარგისი კაკლის ხეები, ხეხილის ბაღში 220 ძირი ხისგან 176 გაიჩეხა, გაიჩეხა ვენახი...

— არც ამას უარვყოფ.

— იმაზე რაღას იტყვი, რომ წლების განმავლობაში ზედმეტად ღებულობდით ყოველწლიურად 127 მანეთს?

— მართალია!

— თქვენ კასპიდან თბილისში გამოგზავნეთ საბავშვო სახლის კუთვნილი ცხენი, რომლის საბალანსო ღირებულება 2.800 მანეთს შეადგენდა, კასპიდან თბილისში ცხენის ჩამოყვანაში 457 მანეთი «დახარჯეთ». ასეთი ანგარიში ჩააკერეთ საბუთებში, თბილისში კი — ცხენის მაგიერ თქვენმა რწმუნებულმა მხოლოდ ტყავი ჩამოიტანა. დაწესებულებამ ტყავის ღირებულებად 80 მანეთი მიიღო, რა იქნა ცხენი?

— ცხენი?.. მოდი, ამაზე არ გიპასუხებთ, ეს მე ვიცი!

— თქვენ გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვიდან არ ავითვისებიათ 48.528 მანეთი.

— რა ვუყოთ მერე, არ ამითვისებია, ხომ არ მიითვისებია?

მაგრამ დიალოგი გაგვიგრძელდა. ასეთი ბრალდება სხვაც ბევრი წაუყენეს კასპის რაიონის ახალქალაქის საბავშვო სახლის დირექტორს ვალერიან მიხეილის-ძე ჭავჭავაძეს, რომელიც «მჭევრმეტყველებდა», ზოგ კითხვაზე იცინოდა, ზოგზე ავღებით უპასუხებდა. განათლების სამინისტროს კოლეგიაზე ჭავჭავაძე მოხსნეს და მისი საქმე გადასცეს კასპის რაიონის პროკურორს.

მაგრამ ვალერიან ჭავჭავაძე რა ვეცაკაცია, თუ ძმაცაკები არა ჰყავს. კოლეგიის სხდომიდან გამოსვლისას მხოლოდ ეს-ღა ჩაილაპარაკა: «ვნახოთ ვინ-ვისო!» და მართლაც აი რა ვნახეთ ჯერჯერობით:

— ფაქტები, ფაქტებიო, — გაიძახოდნენ კასპელი გამომძიებლები. — მოგვეცით ფაქტები! — იმეორებდა იქაური პროკურორი.


— ეს ფაქტები საკმარისი არ არის! — თვალდახუჭული ღაღადებდა სახალხო მოსამართლე.

და ამ «არასაკმარისმა» ფაქტებმა კასპში მართლაც არ იკმარა, ჭავჭავაძის თავზე ხელი გადაუსვეს და საქმემ უმაღლეს სასამართლოში ამოჰყო თავი. ჭავჭავაძის იღბალმა კეთილად გასტრა.


თვითონ მშრალად გამოძვრა ამ საქმიდან, პასუხისმგებში კი განათლების სამინისტროს მუშაკები მისცა... მხილებისათვის!

კმაყოფილია ჭავჭავაძე, იცინის, იცინის, კვდება სიცილით. ასეა ჯერჯერობით!

ბ. არაპიძე



— რაღა ჩემს ცოლს ამოურჩიეთ ყურებიანი ქული, ჩემზე უფრო უპრიაია... იქნებ მაგისი საყვედურები ვეღარ გავიგონო.



— სულ რატომ იგვიანებ ლექციებზე, გურამ? — რა მეჩქარება, ხომ გავიგონია, სწავლა სიბერემდისო.



ნახ. დ. ერისთავისა

ყმა!..

არის!..

მაისის მოსვლამ ექსკურსიაზე წასვლის გუნებაზე დაგვაცენა. ვეწვეთ ფუნქულორის პლატოს და სიხარულით ავივსეთ. იცი, ყველაზე მეტად რამ გავგახარა? კულტურისა და დასვენების პარკში ახლის უახლესმა წამოწყებამ.

წარმოიდგინე, ნიანგო, ყურძენი ფუნქულორზე, საკუთარი, მაღალეშიანი ნამყენი ვაზი, ზედ მწიფე მტევნები, უთვალავი და უამრავი. უკეთეს ვერც წარმოიდგენს! ჰოდა, ამ მიზნით შენდება აქ დიდი ვენახი!

სასიხარულო სიახლე, უპირველეს ყოვლისა, იმაში შევნიშნეთ, რომ ნამყენის ჩაყრა აქ სულ ახალი წესით უწარმოებიათ: ვაზის ზრდის არე დაუტოვე-ბიათ 09 X 09-ზე, ვაზის ორმოებში ორგანიული სასუქი არ ჩაუყრიათ, რადგან ამ მწივინიდავიან პირობებში ვაზი შეიძლება უფრო კარგად გამოიყოს—რგვის პერიოდში განმეზა თუ უფრო გვიან? აბა, მაშ რა საცდელი ვენახია, თუ ყოველგვარ სიძნელეებს არ გამოსცდის ნამყენი!

საინტერესო უფრო ის არის, რომ აქ არც გამოცდილი მცოდნე აგრონომის მოთხოვნა და არც საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის რჩევა მხედველობაში არ მიუღიათ, ვენახი შენდება ამ საქმეში სრულიად უცოდინარი ძალების (დირექტორი, კომენდანტი, ბუღალტერი, მეჯინეები, მოლარე, დამლაგებელი და სხვა) ახალი მეთოდით. მეცნიერებასთან ერთად, ვაზის გაშენების ელემენტარული წესებიც კი უარყოფილია.


რას იტყვი, ნიანგო, ბარაქიანი რთველი არ ექნებათ ჩვენს ახალ მევენახეებს?

ოქროყანელი

ქპაო ნიანგო!

არ გაგიგონია სოფელი ავლევი? ის ქარლის რაიონს ამშვენებს. ავლევის კი საშუალო სკოლა აქვს, სკოლას—მერკე კლასი, ხოლო კლასს—ფანჯრები, ჭერი და იატაკი. ეს ყველაფერი არაჩვეულებრივია და გვინდა გავაცნოთ ამ «არაჩვეულებრიობის» არსი:

იმისათვის, რომ მოწაფეები მიწას არ მოწყდნენ, ჩვენი კლასი მუდამ მიწითა და ტალახითა საცვს, სიცივის თავიდან ასაცილებლად კი ფანჯრებს—



ში გამომტერული მიწების ადგილი ფიცრებითა და მუყაოთა ატედილი, მრავალფეროვანებისთვის ზოგან მუთაქა, ან ჩვენი ჩანთებია აფარებული. რაც შეეხება ჭერს, იგი რთვორც წესი, ფარალადაა, რომ ბუნებრივად ხელშემწყობ პირობებში.

წების ყველა სიკეთე—ქარი, წვიმა და ჰაერი არ მოგვაკლდეს. ყველა ამით ჩვენი დირექტორი ერთობ ალტაცებულია და სულ ჩაგვიჩინებს:

— რა გიშლით ხელს, რომ სულ ფრიალებზე არ სწავლობთ? აბა, რა უნდა გვიშლიდეს ხელს, ძმაო ნიანგო? ვსწავლობთ ამ არაჩვეულებრივად ხელშემწყობ პირობებში.

ბიძინა ავლეველი

ქპირვასო ნიანგო!

ჩვენი დიდი ალტაცება გადაეცი იმ დაწესებულების იმ მუშაკებს, რომელნიც ავტობუსების პარკს განაგებენ. მათ მხედველობაში მიიღეს ის გარემოება, რომ რუსთაველის პროსპექტისა და ლენინის მოედნის კუთხეში არსებული «გაჩერება» დიდხანს იყო გაჩერებული და იგი მუზეუმის ქუჩის კუთხესთან გადაასკუბეს.

ამით, ერთი მხრივ, ზედმეტი სეირნობისა და, მეორე მხრივ, ფიზიკური ვარჯიშის საშუალება მოგვეცა. ამ ვარჯიშს ჩვენ გავდივართ განსაკუთრებით დილის საათებში, როცა სამუშაოზე დაუგვიანებელი მისვლის აუცილებლობა გვაიძულებს ერთგვარი ამანათბუნევი გავიაროთ. ეს კი, გარდა ფენის სიმარჯვეში გაწვდისა, გულის სიმარგის შემოწმების საშუალებასაც გვაძლევს.

ჩვენი დილის სტარტი იწყება განსაკუთრებით სადგურიდან მოსვლისას. აქ ეწყობა ერთი ზედმეტი რეისი: კუთხიდან უფასოდ ირგვლივ შემოვუვლით ხოლმე მოედნის მთელ უბანს, შევხედავთ ქალაქის საბჭოს საათს და დაგრწმუნდებით რა, რომ უკვე სამუშაოზე გვაგვიანდება, ვბრუნდებით. უკანვე, მივალვით მუზეუმის ქუჩის კუთხეს და იქიდან ვიწყებთ სტარტს ამანათბუნეში. ჩვენ, ვინც «ფინიშთან» დროზე ვცხადდებით, დილის ფიზკულტურაში გამოწვეულ ალტაცებას ვუგზავნით აღნიშნულ მარშრუტის აღნიშნული «ჯარატრიალობის» შიშოვლობით.

შ. საუდელი

ღივჩაგუჩილი ქიეზანი

კაუჩუკი — რატინ — ომარ — ჯან — სალოლ ხალიან — ზემელელი, რომელიც მსოფლიოში ომარ ზალიანის სახელითა ცნობილი, დაიბადა დაახლოებით 1936 წელს, მდიდარი კომბინატორის ოჯახში. ომარ ხალიანს თავისი დროისათვის დიდი განათლება უნდა ჰქონოდა მიღებული, რადგან მას, თანამედროვეთა გადმოცემით, თბილისის თიანეთის ყველა უმაღლესი სასწავლებელი მოუვლია.

პირველ წყაროებში ომარ ხალიანი მოხსენებულია არა როგორც პოეტი, არამედ როგორც ლენინის სმმს, ქალთა გულის მონადირეების, ვარიანტების, გიტარაზე დაკვირის, ჩაცმა-დახურვისა და სადღეგრძელოს უბადლო ოსტატი. მასვე მიაწერენ აგრეთვე რუსთაველის გამზირის უხუსტრეს გაზომვას ფეხით. ამას გარდა ომარ ხალიანის პირად არქივში ნაპოვნია საქართველოს უტურფეს ასულთა დაბადების დღეების გულმოდგინედ და საოცარი სიზუსტით შედგენილი კალენდარი, რომელიც ფასდაუდებელ განმად შევიდა სტატისტიკურ მეცნიერებაში.


ომარ ხალიანს დიდებისათვის ესეც ეყვოფოდა, მაგრამ მსოფლიოში სახელი მან მაინც თავისი ოთხსტრატეგიული ლექსებით—რობაიებით გაითქვა. ლექსთა წყობის ეს მინიატურული ფორმა ომარ ხალიანმა გამოიყენა ღრმა ფილოსოფიური აზრების, ამაღლებელი განცდებისა და უნაზესი ლირიზმის გადმოსაცემად. ომარ ხალიანის ლტერატურული მემკვიდრეობა სათა-

ნადოდ ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. მის შემოქმედებაში ჯერჯერობით ათამდე რობაის ითვლიან, მაგრამ ეს ათი რობაი საცხებით საკმარისია პოეტის ესთეტიკური მრწამსისა და მსოფლმხედველობის დასაზუსტებლად. ომარ ხალიანის გარდაცვალების თარიღი საუბედუროდ არ არის დადგენილი. ზოგიერთი მკვლევარი მის გარდაცვალებას მისსავე დაბადების დღეს უკავშირებს, რაც ცოტა საეჭვოა, რადგან პოეტი ერთ-ერთ რობაიში თავად წერს „ოცი წლის კაცი ვარო...“

ომარ ხალიანის შემოქმედება გამსჭვალულია ღრმა ოპტიმიზმით, გაბედული პოეტური აზრებითა და გამოთქმებით. მიუხედავად იმისა, რომ მის შემოქმედებას ალაგ-ალაგ დაჰკარავს უიმედობის სიო, იგი მაინც არ დგას განმარტოებით, მისი გულისთქმა ესთეტიკურადაა დაკავშირებული ახალგაზრდობის რიტმულ მაჯის ცემასთან.

ჩვენ არ შევედგებით დაწვრილებით გენიალური პოეტის შემოქმედების იდეურ-მხატვრული მხარის შეფასებას. ამ საქმეს მივანდობთ დაინტერესებულ მკითხველს, რადგან მკითხველი თვითონ არის პოეზიის უდიდესი მსაჯული.

ჩვენ უბრალოდ გავაცნობთ ომარ ხალიანის ათ რობაისს, რომლებიც მარგალიტის თვლებად და განანული მსოფლიო შედგერალური პოეზიის საგანმურში:



1. მილიციელი ზშირად მოდის რუსთაველზე ჩვენთან, —დაიშალეთო, გვეუბნება, ხელს იღებს კვთან, ის კი არ იცის, რომ მოკვდებით ერთ დღეს, მშვენიერს, და ველარასდროს ველარ გენახავს ლალიძის წყლებთან.
2. ესეი აზარფეშით ყურძნის სისხლი შვიდ დღეს კვირაში, მსურდა მოხედრა სასამთხო კაცთა სიაში, მაგრამ, ჰე ლმერთო, სამართალი სად არი შენი! სამოთხის ნაცვლად რად ვიღვიძებ მილიციანი?
3. თუ განვიცადეთ გამოცდებზე მწველი წამები, თუ გამოვედით გამოცდიდან განაწამები, და თუ სწავლაში დავიღამებთ ახალგაზრდობას, მაშინ რაღა ქვეყნად ფასი ჩვენი მამების?
4. მეუბნებიან—ვინც ლოთია, გმობის ღირსია, ჩხუბი და შფოთი კაცის არა საკადრისია, ლეონანსავამზე აყალმყალს თუ არ ავტებავთ, მაშინ ეს ღვინო, მეგობრებო, რის მაქნისია?
5. მე რომ დიპლომი მქონებოდა—დედამ ინება, მამა დამპირდა მყვდრო ოჯახს არდაცილება, მაშ მითხარ, ლმერთო, კომისია რომ მანაწილებს, სად გაგონილა დედისერთას განაწამება?
6. მეუბნებიან, რომ დიდებას მე ვერ მივწვდები, ჩემს საფლავს ყველა დაივიწყებს, როს დავმიწვდები, ხუთჯერ და ათჯერ გავდიოდი თითო საგანში, ჩემს პროფესორებს აბა როგორ დავავიწყდები?
7. ისე არ წავალ, მიწას კვალი არ დავაჩინო, ჯერ უნდა ღვინო დამძარებას გადავარჩინო. მე ქვეყნად მოსვლა არავისთვის არ მითხოვია და სანამ წავალ, მამაჩემმა უნდა მარჩინოს.
8. მსაყვედურობენ, თითქოს არ მაქვს დინჯი გონება, რომ გული ჩემი წრფელ სიყვარულს არ ემონება, მე მისთვის ვიცვლი ყოველ კვირა შეყვარებულებს, რადგან ჭირივით მეზარება ერთფეროვნება.
9. ოცი წლის კაცმა ყველა მარკის ღვინო ვიგემე, ვაგლან, ცხოვრების მაროფათს რომ ცუდად მიგებენ, ზემელზე ვდგვარ დღე და ღამე რუსთაველის ძეგლთან და, ლმერთო, მაინც უგნურები ძეგლს არ მიგებენ.
10. მეუბნებიან—რა გაცვია ტანზე, რა არი? მე კი სამოსი „სტილის“ გარდა არ მწამს სხვაგვარი. როცა მოკვდები, გამიკეთეთ „ბუტილკა“ კუბო, ხოლო გარშემო კაუჩუკი შემოაკარით.

ნაბ. დონისა



კულტურისა და დასვენების პარკში გამართულია ესტრადა, საქიდაო მოედანი, ბავშვების გასართობი, საცურაო აუზი, აკრო-ბატული კუთხე და სხვა. შესვლა თავისუფალია.




— ურიგოთ გამიშვით, ხურდა არ მჭირდება...
— არხენად ბრძანდებოდეთ, არც ჩვენ მოგვცემს ხურდას.



ეს ფოტოდოკუმენტი გვაცნობს ერთი ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციის ორ აბრას. პირველი მათგანი ლაპარაკობს ორი პირისა თუ ორპირობის შესახებ და გაურკვეველია, რა აქვს მხედველობაში. „მარჯვენაპირა“ შეიძლება იმას უნდა აღნიშნავდეს, რომ კაცს აქვს მარცხენა და მარჯვენა პირი, ანუ ორპირია. ერთიც და მეორეც შეიძლება მოიძებნოს თბილისის მტკვრის მარჯვენაპირის საზოგადო კვების ტრესტის აპარატში, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს „მარჯვენა ნაპირის ხორცი?“ ნუთუ ხენებულ სავაჭრო ორგანიზაციას ხორცით ვაჭრობა ისე აქვს „მოწესრიგებული“, რომ ერთ მაღაზიაში მარჯვენა ნაპირის ხორცს ჰყიდის, მეორეში — მარცხენა ნაპირისას?
რა პირმა თქვა, რა ხელმა დაწერა ასეთი ქართული?!

ლირაქცია



ლიზაკაგუკული ლექსიკონი

გაცენიურება—ახალი დოკუმენტები, რომლებსაც სინათლე შეაქვთ კლასიკოსთა ფსევდონიმების დაღვენის საქმეში.
80 წელი—ასაკი, რომლის შემდეგ უკვე ყოვლად შეუძლებელია ახალგაზრდა მწერლად თავის გასაღება.

რეცენზია—ხშირად სპექტაკლის ყურებამდე სწერენ და ყურებამდე წითლდებიან.

„ჩემი ბავშვობა...“—ლექსის სიტყვებია, რომლის აწყობის შემდეგ ლინოტიპი თვითონვე ჩამოასხამს დაბოლოებას: „...შემომხვდა გზაზე“.

ყაყაჩო—სპეციალურად მოაშენეს საქართველოში, „ხარაჩოს“ გასართობავად.

ლექსიკონის დაბატება

- რომანი—500-გვერდიანი მოთხრობა.
- მოთხრობა—50-გვერდიანი ნარკვევი.
- ნარკვევი—25-გვერდიანი ინფორმაცია.
- ინფორმაცია—ხუთი გვარიანი შეცდომა (გრამატიკული).

ო. ალფაიძე



ბოგარ უნდა მოიქცნენ ტყის გამშენებლები, როცა გეგმის გადაჭარბებით შესრულება ხურთ.

კასიონალიზაციური წინადადება

ანუ

რედაქტორი—ვახტანგ ქელიძე.


სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი, გ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი «ნიანგი». რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 2-10-49.

გამომც. № 8, ხელმოწ. დასაბ. 28/IV-1956 წ. ქალ. ზომა 70 x 108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. ფურადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5. შეჯ. № 473. უფ. 03706. ტირ. 25.000.

რასავლეთავროპის ბაზარი

ეროვნული
იზღირიანი



რასავლეთავროპის ბაზარი



107 56

ნახ. ი. განდისა (იკროკოლილიდან)

„ლია კარმის“ საგაზრო კოლბიკა